ქეთევანი კობიაშვილი I გიორგი მელაშვილი
თავისუფალი უნივერსიტეტი
kkobi21@freeuni.edu.ge I george.melashvili@freeuni.edu.ge

სამხრეთ კორეის სამხრეთის ახალი პოლიტიკა: კონტექსტი და მიზეზები

რეზიუმე

სამხრეთ კორეას აღმოსავლეთ აზიის რთულ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში უწევს მანევრირება, რომელიც დიდი ძალების მეტოქეობითა და რეგიონული დაძაბულობით ხასიათდება. 21-ე საუკუნე გამოირჩეოდა ჩრდილოეთ კორეის სამხედრო შესაძლებლობების მკვეთრი ზრდით, ჩინეთსა და აშშ-ის შორის ურთიერთობების გამწვავებით და რეგიონული უსაფრთხოების მზარდი არასტაბილურობით. 2017 წელს დაწყებული „სამხრეთის ახალი პოლიტიკა“ (NSP) აღნიშნავს სამხრეთ კორეის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ დივერსიფიკაციას სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით, ფოკუსირებით ინდოეთსა და ASEAN-ზე.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კორეა, სტრატეგიული დივერსიფიკაცია, სამხრეთის ახალი პოლიტიკა, ჰეჯირება.

შესავალი

სამხრეთ კორეის საგარეო პოლიტიკა მრავალი წლის განმავლობაში დამოკიდებული იყო მის ურთიერთობებზე რეგიონის მთავარ მოთამაშეებთან, მათ შორის არსებულ მეტოქეობასა და ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის ისტორიული წყენები და პოლიტიკოსთა იდეოლოგიები. 2017 წელს გატარებული „სამხრეთის ახალი პოლიტიკა“ სწორედ ამ დინამიკიდან გათავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ამის მისაღწევად კი სეული აპირებდა, გაემყარებინა კავშირები ისეთ პარტნიორებთან, როგორიც ASEAN და ინდოეთია.

ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან

სამხრეთ კორეა ცივი ომის პერიოდიდან შეუცვლელ პარტნიორად იქცა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. მასთან არსებული ალიანსის მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატები ქმნიდა კონტინენტურ დასაყრდენს კომუნისტური საფრთხეების მოსაგერიებლად და პარალელურად აზღვევდა იაპონიაში აშშ-ის წყნარი ოკეანის ოპერაციების ცენტრს (Han, Pardo&Cho 2023:615). 1954 წლიდან 1971 წლამდე დაახლოებით 63 000 ამერიკელი ჯარისკაცის განთავსება მოხდა 100 სამხედრო ბაზაზე სამხრეთ კორეაში. ამას დაემატა 1958 წლიდან 1991 წლამდე ტაქტიკური ატომური იარაღების განთავსება კორეის ნახევარკუნძულზე, რაც კიდევ უფრო ამყარებდა სამხრეთ კორეის თავდაცვის ძალებს (Han, Pardo&Cho 2023:615).

ალიანსმა უდიდესი რყევა განიცადა აშშ-ში ნიქსონის ადმინისტრაციის დროს. მიზეზი 1969 წელს მიღებული დოქტრინა იყო, რომლის თანახმადაც იგი მკვეთრად ამცირებდა აზიაში არსებული

ამერიკული შენაერთების რაოდენობას. პასუხად, პაკმა დაიწყო ახალი „მეგობრების“ ძებნა (Snyder 2018:42) და ატომურ პროგრამაზე მუშაობის დაწყება, რასაც უსაფრთხოებასთან და თავდაცვასთან დაკავშირებულმა გაჩენილმა შეშფოთებამ შეუწყო ხელი (Snyder 2018:44).

მიუხედავად ამისა, კორეაში დემოკრატიული რეჟიმის დამყარებამ, ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტთა ადმინისტრაციების ცვლილებამ და 1979 წელს საბჭოთა კავშირის ავღანეთში შესვლამ საკმაოდ შეცვალა ალიანსის დინამიკა და ქვეყნებს შორის ნდობა დაბრუნდა. ამას ადასტურებს პრეზიდენტი ჩონის გადაწყვეტილება, რომ მიეტოვებინა ატომური პროგრამა.

საბჭოთა კავშირს აშშ-ის რეგიონში ყოფნის აუცილებლობა უნდა შეესუსტებინა, თუმცა ეჭვებმა ჩრდილო კორეის ატომური პროგრამის არსებობის შესახებ, ეს პროცესები გადაავადა. მიუხედავად იმისა, რომ 1991 წელს ტაქტიკური იარაღები ამოიღეს სამხრეთ კორეიდან, იგი მაინც აშშ-ის ატომური ქოლგის ქვეშ იყო, რაც მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა (Han, Pardo&Cho 2023:618).

მომდევნო წლებში ალიანსში განვითარებული დადებითი თუ ნეგატიური დინამიკა ძირითადად დამოკიდებული იყო შემდეგ ფაქტორებზე: მმართველი პარტიის კონსერვატიული/პროგრესული პოზიცია და ჩრდილოეთ კორეის აქტივობა. შედარებით პროგრესულმა პრეზიდენტებმა, რომლებმაც ჩრდილოეთ კორეის მიმართ რბილი პოლიტიკა გაატარეს, რომელიც სამომავლოდ კორეის გაერთიანების ოცნებებზე იყო დაფუძნებული (მაგალითად, კიმ დე ჯუნის „მზის შუქის პოლიტიკა“ (Paik 2002:14)) საკმაოდ დააზიანა ამერიკასთან არსებული კავშირები. მიუხედავად ამისა, ჩინეთის ეკონომიკური ზრდით გამოწვეულმა რეგიონულმა წნეხმა ურთიერთობებს დათბობისკენ უბიძგა, რაც 2007 წლის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში გამოიხატა (Ku, Lee&Woo 2017:196). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ობამას ადმინისტრაციის პერიოდში გატარდა „აზიისკენ გადახრის“ პოლიტიკა, რამაც არსებული წნეხი უფრო გაზარდა, ხოლო 2010 წელს ჩრდილოეთ კორეის მიერ სამხრეთკორეული გემის ჩაძირვამ კიდევ უფრო გაამყარა კონსერვატორთა არგუმენტი რეგიონში აშშ-ის არსებობის აუცილებლობაზე უსაფრთხოების მიზნით.

ურთიერთობები ჩინეთთან

სამხრეთ კორეისა და ჩინეთის ურთიერთობებზე საუბრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი აქტორები, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა და აშშ. სწორედ აშშ-სთან ალიანსი და თაივანში არსებული მთავრობის აღიარება იყო დაპირისპირების მიზეზი. მოგვიანებით, 1978 წელს ჩინეთში დაიწყო „ღია კარის პოლიტიკა“, რითაც ეკონომიკური ურთიერთობები გაღრმავდა, რამაც გააჩინა კავშირები სამხრეთ კორეასა და ჩინეთს შორის. 1992 წელს მხარეებმა ერთობლივ კომუნიკეს მოაწერეს ხელი, რომლითაც განმტკიცდა „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკა (Ministry of Foreign Affairs 2008) და დაიწყო ჩინურ-სამხრეთკორეული ოქროს ხანა. დოქტორი კიმ ჰიუნგ-კიუს აზრით, პეიძინის მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმის მიზეზთაგანია „სოციალისტური რეჟიმების კოლაფსი 1990-იანი წლების დასაწყისში“ (Han, Pardo&Cho 2023:632). ამ პერიოდიდან, ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, ჩინეთთან ურთიერთობებზე უდიდესი გავლენა აქვს პრეზიდენტის ხედვებსა და პოლიტიკას. რო თე უ ატარებს „ნორდპოლიტიკას“, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებთან, უფრო კონკრეტულად ჩინეთთან და ყოფილ საბჭოთა კავშირთან, პროგრესული საგარეო პოლიტიკის ქონას (Hwang 2021:224). ამის ფონზე, ჩინეთი ხდება კორეის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარტნიორი. მას შემდეგ კი, რაც ჩინეთი სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციების წევრი გახდა, უფრო მეტად მიმზიდველი გახდა სამხრეთ კორეისათვის. ამასთანავე, ჩინეთი რეგიონში თავისი პოზიციის, როგორც „პასუხისმგებლობის მქონე ძლიერი ძალის“, გამყარებას ცდილობს და ირგებს მედიატორის როლს ექვსმხრივი მოლაპარაკებებისას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღების საკითხებზე (Han, Pardo&Cho 2023:634).

საინტერესო დინამიკა განვითარდა პაკის ადმინისტრაციის დროს, როდესაც გააქტიურებული ჩრდილოეთ კორეის ფონზე სამხრეთ კორეა ცდილობს, რომ არც ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაიფუჭოს ურთიერთობა, თავდაცვითი ინტერესების გამო და არც ჩინეთთან მოუწიოს ეკონომიკური კავშირების შესუსტება. შეიძლება ითქვას, რომ იგი მიმართავს ჰეჯირების სტრატეგიას და „ყველა კვერცხს ერთ კალათაში არ ათავსებს" (Ku, Lee&Woo 2017:201). 2013 წელს ჩრდილო კორეის მიერ კიდევ ერთი ბირთვული ცდის ჩატარებამ ხელი შეუწყო ჩინეთსა და სამხრეთ კორეას შორის ჩრდილოეთის ბირთვული განიარაღების საკითხებზე საუბრების დაწყებას. ამასთანავე, იაპონიასთან მსგავსი ისტორიული წარსულის გამო, ჩინეთს იმედი ჰქონდა, რომ სამხრეთ კორეა ჩინეთს მხარს დაუჭერდა იაპონიასთან არსებულ სხვადასხვა ტერიტორიულ დავებშიც.

ურთიერთობები იაპონიასთან

სამხრეთ კორეის იაპონიისადმი არსებული ისტორიული წყენები დღემდე ძლიერია. ნუგეშის ქალების საკითხს დღემდე უდიდესი გავლენა აქვს ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებზე. ამერიკის ხელშეწყობით ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები შედარებით დასტაბილურდა, რასაც ადასტურებს 1984 წელს კორეის პრეზიდენტის ჩონ დუ ჰვანის ვიზიტი ტოკიოში. რეალურად, მდგომარეობა მომდევნო წლებში არც თუ ისე სტაბილური იყო და ეს დროებითი შერიგებაც სავარაუდოდ რეგიონში გაჩენილმა ბირთვული ქოლგის არსებობის აუცილებლობამ გამოიწვია.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ურთიერთობები ისევ დესტაბილიზდება, რის მიზეზსაც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე გაჩენილი აშშ-ის მიერ რეგიონის დატოვებისა და იაპონიის თავიდან შეიარაღების შიში. გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ს რეგიონი არ დაუტოვებია და არც იაპონიამ დაიწყო შეიარაღება, დინამიკა ისევ შეიცვალა და გააქტიურებული ჩრდილოეთ კორეის საპასუხოდ, 1999 წელს ეწყობა სამხრეთ კორეა-იაპონია-აშშ-ის გაერთიანებული საზღვაო წვრთნები.

XXI საუკუნის დასაწყისიც წინა წლების მსგავსად გამოირჩეოდა არასტაბილურობით. ამის მიზეზი იყო არაერთი სკანდალი, მათ შორის კოიზუმის ვიზიტი იასუკუნის ტაძარში (CNN 2002), 2005 წელს „ტაკეშიმას დღის" დაწესების ინიციატივა (Snyder 2018:126), 2011 წელს პრემიერ მინისტრი ნოდა იოშიჰიკოს განცხადება, რომ „ნუგეშის ქალების საკითხი სამართლებრივად 1965 წელს მოგვარდა" (Snyder 2018:154) და 2012 წელს პრეზიდენტ ლის სტუმრობა დოკდოს კუნძულებზე. ამ ყველაფერს ერთვის საზოგადოების მძაფრი რეაქციაც, ამ ყველაფერზე, რაც უფრო ართულებს ურთიერთობების დალაგებას. მიუხედავად ამისა, 2013 წლის თებერვალში ჩრდილოეთ კორეამ ჩაატარა მესამე ბირთვული ტესტი, რამაც აშშ გამოაფხიზლა და 2014 წლის მარტში მან მოირგო მედიატორისა და მომრიგებლის როლი იმისათვის, რომ ეზრუნა რეგიონის უსაფრთხოებაზე და 2014 წლის მარტში გაიმართა ბირთვული უსაფრთხოების სამიტი (Snyder 2018:184). მიუხედავად ამერიკის მცდელობებისა, მაინც ვერ მოხერხდა ნუგეშის ქალების საკითხის მოგვარება ამ ორ სახელმწიფოს შორის, სწორედ ეს საკითხი გახდა მიზეზი იმისა, რომ 2016-2017 წლებში ჩრდილოეთ კორეის მიერ წარმოებული სარაკეტო ტესტების გამო შექმნილი რთული სიტუაციის მიუხედავად (CBS News 2017), სამმხრივი კოოპერაციული კავშირი მაინც ვერ გაძლიერდა ისე, როგორც მოკავშირეებს სურდათ.

ურთიერთობები ჩრდილოეთ კორეასთან

მიუხედავად იმისა, რომ 1953 წელს ფიზიკური ომი დასრულდა, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული ომი დღემდე გრძელდება და ამას ემატება ჩრდილოეთ კორეის სხვადასხვა პროვოკაციული ქმედებები.

ორივე ქვეყნის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ერთიანი კორეის ჩამოყალიბება, თუმცა სხვადასხვა გზებით.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთკორეულმა მხარემ არაერთხელ სცადა ჩრდილოეთ კორეასთან დიალოგის გახსნა, თითქმის ყველა წამოწყება, რომელიც სამხრეთ კორეამ ურთიერთობების ხიდის შესაქმნელად შეიმუშავა, ჩრდილოეთ კორეამ საბოლოოდ სათავისოდ გამოიყენა ან ძალადობით უპასუხა. მაგალითად, როდესაც 1987 წელს თვითმფრინავზე, რომელიც სეულში მიფრინავდა, ტერაქტი მოაწყო (Ku, Lee&Woo 2017:353).

მნიშვნელოვანია, რომ „პერესტროიკამ" და ეკონომიკურმა დაღმასვლამ სამხრეთ კორეის წისქვილზე დაასხა წყალი. მისი ჩრდილოეთ კორეასთან არსებული უპირატესობა უფრო გაზარდა და ფაქტობრივად წაართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი რეგიონში სსრკ-ის სახით.

1998 წლიდან 2007 წლამდე პერიოდში სამხრეთ კორეის და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობების დათბობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო პროგრესული პრეზიდენტების ქვეყნის სათავეში ყოფნა და მათ მიერ გატარებული ჯერ „მზის შუქის", ხოლო შემდეგ „მშვიდობისა და კეთილდღეობის პოლიტიკა", რომელთა დროსაც ეკონომიკა იმიჯნებოდა პოლიტიკისგან, რათა გამყარებულიყო ეკონომიკური და სოციალური კავშირები. ამის ფონზე ვაჭრობა ფაქტობრივად 5-ჯერ გაიზარდა 1998 წლიდან 2007 წლამდე პერიოდში (National Committee on North Korea 2020). მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ კორეის გეგმები და გეზი სამხრეთ კორეასთან მიმართებით მაინც არ იცვლებოდა, რაც გამოიხატებოდა მის მიერ ურანის გამდიდრებით, ბალისტიკური რაკეტების ტესტებითა თუ სხვადასხვა საზღვაო ინციდენტებით.

2016 წლის კრიზისი

2016-2017 წელს ჩრდილოეთ კორეის მხრიდან განხორციელდა 3 სხვადასხვა ატომური ცდა, რომელთაგანაც ყველაზე მძლავრი სექტემბრის მეექვსე გამოცდა იყო. ამას ემატება ბალისტიკური კონტინენტთაშორისი რაკეტების გამოცდა. სწორედ ეს მოვლენები უბიძგებს სამხრეთ კორეას THAAD-ის სისტემის განთავსებისკენ. ამით სრულდება „Trustpolitik"-ა, რომელიც არსებობდა ჩრდილოეთის მიმართ (Snyder 2018:178).

სწორედ ამ ცდებმა დაიწყო ის ჯაჭვური რეაქცია, რომელმაც კორეა მიიყვანა ერთ-ერთ უდიდეს დილემამდე. ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელი იყო THAAD-ის სისტემის დანერგვა, რათა თავი დაეცვათ ჩრდილოური საფრთხისაგან, თუმცა პროგრესულები შიშობდნენ, რომ ამით განადგურდებოდა კორეულ-ჩინური ურთიერთობები (Ku, Lee&Woo 2017:206). რაც რეალურად ლოგიკას არ იყო მოკლებული, რადგანაც სისტემის დანერგვას ჩინეთმა არაოფიციალური სანქციებით უპასუხა და ფაქტობრივად აკრძალა სამხრეთკორეული მუსიკა, ფილმები და სერიალები (Lim 2019). იმის ფონზე, რომ სამხრეთ კორეაში გაჩნდა წყენები, როგორც ჩინეთის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების მიმართაც, რადგანაც ამ მოვლენების ფონზე, სამხრეთ კორეა თვლიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სათანადოდ არ დაუდგა მას მხარში, ჩნდება საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირების აუცილებლობა და სამომავლოდ რისკების დაზღვევის აუცილებლობა. სწორედ ამისთვის ეშვება „სამხრეთის ახალი პოლიტიკა" (NSP).

აშშ-ჩინეთის კონკურენცია

ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეტოქეობა მეოცე საუკუნის იდეოლოგიური განსხვავებებით იწყება. 1949 წელს ჩინეთის სამოქალაქო ომში კომუნისტებმა გაიმარჯვეს, მაგრამ

ამერიკა თაივანში გაქცეულ მთავრობას აღიარებდა ლეგიტიმურად. XX საუკუნის 70-იან წლებში ეს დამოკიდებულება შედარებით შეიცვალა ნიქსონის გაპრეზიდენტების შემდეგ და ამერიკულ-ჩინური ურთიერთობები დათბა. მიუხედავად ამისა, რაც უფრო წინ მიდიოდა ჩინეთის ეკონომიკა და ძლიერდებოდა მისი სამხედრო შესაძლებლობები, მით უფრო იძაბებოდა ურთიერთობები.

თაივანის საკითხი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მისი ნახევარგამტართა წარმოების შესაძლებლობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო (Maizland&Fong 2025), ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ მიზეზთაგან, რაც ამ ორ სახელმწიფოს შორის ზრდის დაპირისპირებას. თუ პეკინი მოახერხებს თაივანზე გავლენის მოპოვებას, აშშ-ის გავლენა და პოზიცია რეგიონში საგრძნობლად შემცირდება (Sacks 2023) და გაიზრდება კონფრონტაციის შანსები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ჩინეთის პრეტენზიები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, რომელთა განსამტკიცებლად იგი ხელოვნურ კუნძულებს აშენებს და ასევე კონფრონტაციაში მოდის აშშ-ის სხვადასხვა პარტნიორ ქვეყნებთან, მაგალითად ფილიპინებთან სკარბოროს მეჩეჩის თაობაზე 2012 წელს (Petty 2023). ხელოვნური კუნძულების მილიტარიზაცია და საზღვაო ზონებზე პრეტენზიები საფრთხეს უქმნის ნავიგაციის თავისუფლებას. „2015 წლის ბოლოდან მოყოლებული, აშშ-ის საზღვაო ძალების გემები რეგულარულად მოძრაობდნენ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ასევე თაივანის სრუტეში სადავო ტერიტორიების მახლობლად“ FONOP -ის ფარგლებში (RFA staff 2025). მსგავსი ტიპის ოპერაციები უფრო ამწვავებს დაპირისპირებას.

ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთის სახმედრო ინფრასტრუქტურის ზრდაში. ამერიკის ალიანსების გასაძლიერებლად და ჩინეთის ეკონომიკური დომინაციის წინააღმდეგ ობამამ შეიმუშავა „ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობა“ (TPP). ჩინეთმა ამ ყველაფერს „Belt and Roads“ ინიციატივით და აზიის ინფრასტრუქტურის ინვესტიციის ბანკის შექმნით უპასუხა, რითიც გააძლიერა თავისი გავლენები რეგიონში (Cai 2017). ამ ორი ქვეყნის მეტოქეობას როგორც რეგიონის უსაფრთხოებაზე და სტაბილურობაზე, ისე სამხრეთ კორეის საგარეო პოლიტიკაზე საკმაოდ დიდი გავლენა აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კორეა შუალედური ძალაა, რომელიც თავდაცვის უზრუნველყოფისათვის ამერიკასთან არის მჭიდრო კავშირში 1953 წლის ურთიერთდაცვის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხოლო ეკონომიკურად ჩინეთთან აქვს ახლო ურთიერთობა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2016 წლისათვის, მისი ნომერ პირველი პარტნიორი ჩინეთი იყო (World Integrated Trade Solution 2022).

სამხრეთის ახალი პოლიტიკა

სამხრეთის ახალი პოლიტიკა (NSP), რომელიც 2017 წელს პრეზიდენტმა მუნ ჯე ინმა წამოიწყო, სამხრეთ კორეის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, რომელიც მიზნად ისახავდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან (ASEAN-ის ქვეყნები) და ინდოეთთან კავშირების გაღრმავებას, რათა მისი სტრატეგიული და ეკონომიკური პარტნიორობა დივერსიფიცირებულიყო. NSP შეიქმნა, როგორც ჰეჯირების სტრატეგია, რათა შემცირებულიყო რისკები, რომელიც გამოწვეული იყო აშშ-ჩინეთის დაპირისპირებითა და რეგიონული საფრთხეებით. პროფესორი პაკის თქმით, „NSP-ს მეშვეობით მუნის ადმინისტრაციის მიზანი იყო ჩინეთის მიერ ვაჭრობის იარაღად გამოყენებისაგან თავის დაცვა“ (Park 2023:22) და სამხრეთ კორეის დამოკიდებულების შემცირება ისეთ დიდ ძალებზე, როგორიცაა აშშ და ჩინეთი. ASEAN-თან და ინდოეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების ხელშეწყობით, მუნი ცდილობდა, რომ გაეძლიერებინა სამხრეთ კორეის სტრატეგიული ავტონომია და ეკონომიკური მდგრადობა არასტაბილურ გეოპოლიტიკურ გარემოში. „Chatham House“-ის კვლევით ნაშრომში ვკითხულობთ, რომ მუნის ეს ნაბიჯი გამიზნული იყო იმისათვის, რომ სამხრეთ კორეას საბოლოოდ თავი დაეღწია

აღმოსავლეთ აზიაში არსებული „დიდი ძალების“ (big powers) ურთიერთობის ძველი მოდელისაგან (Nilsson-Wright&Jie 2021:26).

NSP-ი სტრუქტურირებულია „3P“ ჩარჩოში, ანუ ხალხი, კეთილდღეობა და მშვიდობა. საპრეზიდენტო კომიტეტის მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, მისი მიზანია, რომ ამ პოლიტიკის გატარების ბოლოს, „სამხრეთ კორეის ურთიერთობები ASEAN-ის ქვეყნებთან და ინდოეთთან პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად და კულტურულად იმავე დონეზე იყოს, რა დონეზეც არის სამხრეთ კორეის ურთიერთობები მის ოთხ მთავარ პარტნიორთან“ (Presidental Committee 2017).

დასკვნა

სამხრეთ კორეის ქეისი საკმაოდ საინტერესოა იმის შესასწავლად თუ რაოდენ დიდი გავლენა აქვს გეოგრაფიულ მდებარეობას, ისტორიულ წყენებს, გეოპოლიტიკურ რყევებს, სხვადასხვა აქტორების საგარეო პოლიტიკასა და მათ შორის ხალხის სენტიმენტებს ქვეყნის საგარეო კურსის ჩამოყალიბებაში. სამხრეთის ახალი პოლიტიკის გატარება სამხრეთ კორეის მხრიდან წარმოადგენდა ერთგვარ თავდაცვით მექანიზმს სამომავლო გეოპოლიტიკური რყევებისაგან, რომელსაც სისტემური ხასიათი გააჩნია რეგიონში არსებული მოთამაშეებისა და მათ შორის არსებული მრავალწლიანი დაპირისპირებების გამო. 2016 წლის კრიზისი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სამხრეთ კორეას ესაჭიროებოდა ურთიერთობების დივერსიფიკაცია იმისათვის, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პარტნიორებს შორის არსებული უთანხმოებისა თუ დაპირისპირების შემთხვევაში მაქსიმალურად შეემცირებინა რისკები და დანაკარგები. სწორედ ამიტომ მიმართა მან ჰეჯირებას და რისკები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში დააზღვია.